ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 17-18 (9909) • 2 maisi • 2011 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## საკრებულოს სხდომაზე

თეონა ჩხარტიშვილი

*27 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხიდან, პირველ საკითხს დაეთმო უმეტესო დრო, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანას ეხებოდა. დანარჩენი 12 საკითხი ერთხმად იქნა დამტკიცებული საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ, რადგან სხდომას უკვე აღარ ესწრებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები.*

რაც შეეხება პირველ საკითხს, მომხსენებელმა, ოზურგეთის საფინანსო სამსახურის უფროსმა ლია ქათამაძემ ისაუბრა 1115700 ლარის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ, რის თანახმადაც სოციალური დახმარებები დაფინანსდება 9000 ლარით, განათლების ხელშეწყობის პროგრამა–5500 ლარით, აუდიტის მომსახურება– 2000 ლარით, ჯანდაცვის ცენტრი–5000 ლარით, სახანძრო სამსახური –7200 ლარით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი–4800 ლარით, სპორტის განვითარების ცენტრი–5800 ლარით, მუზეუმი–4000 ლარით...

**ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ლელა ნაცვალაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა ქ. ოზურგეთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 150000 ლარის კომპეტენტურობა და მასზე კონტროლის დაწესება მოითხოვა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ უმეტეს შემთხვევაში ხარისხიანად არ ხდება მათი შეკეთება და საჭიროებს ხელმეორედ სამუშაოების ჩატარებას.**

მან ასევე დასვა კითხვა, თუ რას მოხმარდება განათლების ხელშეწყობის პროგრამისთვის გამოყოფილი 5500 ლარი. საკრებულოს დეპუტატმა ირინა საჯაიამ განაცხადა, რომ მასში შედის მოსწავლეთა მომსახურება ტრანსპორტით.

,,თავისუფალი დემოკრატების" ოზურგეთისა და გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ როცა საკითხი ეხება სახლების და გზების რეაბილიტაციას, უმჯობესია გაკეთდეს ცოტა და ხარისხიანად.

,,ქრისტიან-დემოკრატების" ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოს დეპუტატი კახა ღლონტი შეეხო ვეტერანთა დახმარებების პროგრამას, რომელიც დაფინანსებულია 3100 ლარით და თხოვნით მიმართა საკრებულოს, სამომავლოდ მოიძიოს თანხა, რომ დახმარება მოხდეს სოციალური პაკეტებით.

**ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან ნინიძემ უკმაყოფილება ვერ დამალა და სხდომაზე აღნიშნა, რომ გზების რეაბილიტაცია მხოლოდ იქ ხდება, სადაც ცხოვრობს ვინმე ცნობილი პიროვნება.**

მანვე განაცხადა, რომ თავის სოფელში 900 მეტრი გზა საგანგაშო მდგომარეობაშია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ხერხდება მისი შეკეთება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ტაკიძემ აღნიშნა, რომ გზების რეაბილიტაცია ხდება იმ კუთხით, თუ რამდენად მოთხოვნადი და მნიშვნელოვანია იგი. იგი ასვე შეეხო სოციალურ და განათლების კუთხით გამოყოფილ თანხებს და მიუთითა, რომ მათი დაფინანსება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობების ფარგლებში. ყურადღება გაამახვილა საცხენოსნო კლუბ ,,მარულაზე" და აღნიშნა რომ იგი ნამდვილად საჭიროებს მოვლა-პატრონობას.

საბოლოოდ აღნიშნული საკითხი დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით ხელმეორედ იქნა დამტკიცებული.

## მაკვანეთში ახალი გზა საზეიმოდ გაიხსნა.



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სოფ. მაკვანეთში, გოგიეთის უბანში 2კმ. გარემონტებული გზა საზეიმოდ გაიხსნა.

ახალი გზა საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა გახსნა. შეკრებილნი შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა დალოცა.

მაკვანეთლებს გზის ამ მონაკვეთის აღდგენას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას თანასოფლელი ანზორ ერქომაიშვილი შეპირდა, რომელიც ამჟამად გზის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. წელს გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის გამოცხადებულ ტენდერში შპს ,,გზამშენი-18" გაიმარჯვა.

როგორც ,,გზამშენი 18-ის" მთავარმა ინჟინერმა ვახტანგ ჭანტურიამ გვითხრა, მათ 395 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულეს. დააგეს ასფალტის საფარი 2 კილომეტრზე. გაკეთდა გზის დამცავი ნაგებობები. 40 მეტრი გრძივი მეტრის გაბიონები. გზის დასაწყისში ასფალტირებული გზის სიგანე 6 მეტრია, ხოლო დანარჩენ მონაკვეთზე 4,5 მეტრი.

რამაზ ნიკოლაიშვილის თქმით, წელს ოზურგეთი-ჯუმათი-ლესას გზის სამუშაოები დასრულდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვა გზებიცაა სარეაბილიტაციო. ერთ-ერთად მან ოზურგეთი-ლიხაურის გზის რეაბილიტაცია დაასახელა.

## უცხოელი მოხალისეები კვლავ გაქურდეს

ოზურგეთში მოხალისეებად მყოფი ჩეხი კამილა სიროტნა და პოლონელი იანა ზადურნა მეორედ გაქურდეს. ქ. ოზურგეთში, კოსტავას ქუჩა №4-ში (თორმეტსართულიანი ბინის I სართული) დროებით საცხოვრებელ სახლში ჯერ-ჯერობით ძიებისათვის დაუდგენელი პირები გასულ კვირას კვლევ შეიჭრნენ და ნოუთბუქები მოიპარეს.

პირველად მათი საცხოვრებელი 28 თებერვალს გაძარცვეს. მაშინ ქურდებმა 2 ციფრული ფოტოაპარატი, 2 ნოუთბუქი და 400 ევრო მოიპარეს.

ცნობისათვის მოხალისეები ოზურგეთში რამდენიმე თვეა ცხოვრობენ. ისინი გურიაზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ და მსურველებს ხელოვნებას და ინგლისურ ენას ასწავლიან. მათ მასპინძლობას არასამთვარობო ორგანიზაცია ,,სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო" უწევს.

## სამაშველო სამსახურის აქცია

ოზურგეთის სამაშველო სამსახური დიდ ხუთშაბათს ოზურგეთის ინვალიდთა ასოციაციას ესტუმრა და სააღდგომო საჩუქრები გადასცა. სამაშველო სამსახურის უფროსმა შალვა ბოლქვაძემ ბავშვებს მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

მასპინძლებმა კონცერტი გაუმართეს სტუმრებს.



## თოჯინების თეატრი გასტროლებზე თურქეთში იმყოფებოდა



22-23 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი თურქეთში, სინოპის გუბერნიაში, ქ. გერზეში იმყოფებოდა ფესტივალზე. აქ მათ გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია" და მ. სუპონინის ,,ბუტია" წარმოადგინეს. თურქმა მაყურებელმა კარგად მიიღო ქართული საბავშვო თეატრის დადგმები.

ფესტივალის ორგანიზატორებმა ოზურგეთლები სამახსოვრო საჩუქრით და დიპლომით დააჯილდოეს.

## ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღდგომის დღესასაული მიულოცეს

**23 აპრილს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ტაკიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ალეკო მამეშვილმა შეჭირვებულ და მარტოხელა 80 ოჯახს აღდგომის ბრწყინვალე დღე მიულოცა და სადღესასწაულო ნობათი - სააღდგომო კვერცხი, პასქა და სხვა ტკბილეული გადასცეს.**

## გურიაში პასქის ფესტივალი ჩატარდა



გვ-3

# „ჩვენ საოცარი მხატვრობის ქვეყანა ვართ“

ნინო ნიკოლაიშვილი



დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის 35 წლის იუბილეს გამო რეგიონებს შორის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე გალერეის ფონდის ნამუშევრების გამოფენა ქ. ბათუმის შემდეგ უკვე ოზურგეთს სტუმრობს.

ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ–სურათების გალერეაში ირაკლი გამრეკელის, სიმონ (სოლიკო) ვირსალაძის, ბიძინა ქვლივიძის, ფარნაოზ ლაპიაშვილის, თამარ აბაკელიას, დიმიტრი თაყაიშვილის, გივი ცერაძის, გიორგი გაბუნიას, გოგი ალექსი-მესხიშვილის, ჯეირან ფარუაშვილის, ჯავა ჭეიშვილის, თემურ არსენიძის და სერგეი ბარხინის 50-მდე ნამუშევარია გამოფენილი ცნობილი სპექტაკლებიდან — სასცენო დეკორაციები, კოსტუმების ესკიზები, პლაკატი.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გახსნა. ისაუბრა იმ ურთიერთობებზე, რომელიც ჯერ კიდევ ოზურგეთის გალერეის დაარსებიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის სახვითი ხელოვნების ცენტრებთან, მათ შორის ქუთაისთან, რომელიც მისი თქმით, დროში გაჩერდა და დღეს უკვე აღდგა. ისაუბრა წარმოდგენილი მხატვრებისა და მათი ნამუშევრების ღირებულებაზე „თეატრი თავის თავში აერთიანებს სცენოგრაფიას, მხატვრობას, მუსიკას. ჩვენთან ექსკლუზიური უფლებით წარმოდგენილია უდიდესი კორიფეების მიერ შექმნილი სცენოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები“.

ქუთაისის სამხატვრო გალერეის დირექტორმა ელისო ჩოგოვაძემ მადლობა გადაუხადა ოზურგეთის სამხატვრო გალერეის დირექტორს ავთანდილ თავართქილაძეს და მთელ შემოქმედებით კოლექტივს გულთბილი მასპინძლობისა და ხელოვნების ამ სფეროში გაწეული დიდი ღვაწლისთვის. აღნიშნა, რომ, ხელისუფლების თანადგომით მათ შეძლეს ქართველ კლასიკოსთა ნამუშევრების შესყიდვა, რომელთა რაოდენობა ქუთაისის გალერეაში დღეს უკვე 3 000-მდე აღწევს.

გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრა ავთანდილ თავართქილაძემ: „ასეთი პროგრამები მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული, ასევე პირადი ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს არის საოცრად ლამაზი, ესთეტიურად შესრულებული ნამუშევრები“.

გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ალეკო მამეშვილმა, ლელა თავართქილაძემ, ვახტანგ მამეიშვილმა, მარინა ჯაფარიძემ, ქუთაისელმა სტუმრებმა.

მისთვის ჩვეული სიტყვამჭევრობით გამოვიდა ისტორიკოსი, პროფესორი იური სიხარულიძე: „მხატვრობა ჩვენი ისტორიის ნაწილია. მარტო ხმლით არ იცავდა ქვეყანას ქართველი კაცი, ჩვენ საოცარი მხატვრობის ქვეყანა ვართ. პირველ რიგში იგი ეროვნულ ისტორიას უნდა შეშენდეს. სადაც არ უნდა იყოს მხატვარი, ქუთაისს, ოზურგეთსა თუ თბილისს, ყველგან დიდი უნდა იყოს...“

# „მასწავლებელი უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი წნეხისგან“

ნინო ნიკოლაიშვილი



„თავისუფალი დემოკრატები“ ვიბრძოლებთ და მივაღწევთ მასწავლებელთა გათავისუფლებას, ყოველგვარი წნეხისგან, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, და ამისთვის ყველა, დემოკრატიულად დაშვებული ბრძოლის მეთოდებს გამოვიყენებთ“ — განაცხადა ამავე პ/გ გურიისა და ოზურგეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრმა თემურ სალუქვაძემ პრესკონფერენციაზე, რომელზედაც მასწავლებელთა პრობლემებსა და განათლების სფეროს შესახებ ისაუბრეს.

პარტიის განათლებისა და კულტურის ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ დაასახელა განათლების სფეროში არსებული პრობლემები, რომლითაც მისი თქმით, ირღვევა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა უფლებები.

—„სამსახურიდან გათავისუფლების შიში ქმნის ხელოსაყრელ პირობებს მასწავლებლებზე სხვადასხვა ფორმის ძალადობისა და ზეწოლის განხორციელებისათვის... ეროვნული გამოცდები და მასწავლებელთა ტესტირება ვერ უზრუნველყოფს სწავლების დონის ამაღლებას და მასწავლებელთა დახელოვნებას.“

გამომსვლელმა შედარება გააკეთა უცხოეთიდან ჩამოსული პედაგოგებისა და ადგილობრივი მასწავლებლების ხელფასებისა აღნიშნა, რომ უცხოელებს 500 ლარს უხდიან, მაშინ, როდესაც გაცილებით დაბალია ჩვენი მასწავლებლების ხელფასები. ასევე ყურადღება გაამახვილა უცხო ენის (ინგლისური) სწავლების აუცილებლობაზე, რაც, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად არ უნდა გახდეს მასწავლებელთა დისკრიმინაციის საფუძველი.

# თავისუფალი დემოკრატები პედაგოგთა უფლებებს დაიცავს!

გურიის თავისუფალი დემოკრატები კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენი პედაგოგების მიმართ, ჩვენ კარგად გვესმის, თუ რაოდენ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი. ხელისუფლება სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით ახორციელებს მათზე ზეწოლას.

როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით, მათი მუდმივ საგამოცდო რეჟიმში ყოფნით.

ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები ვადასტურებთ ჩვენს ღრმა პატივისცემას პედაგოგთა მიმართ. კარგად გვაქვს გააზრებული თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი სამშობლოს მოსიყვარულე ღირსეულ თაობათა აღზრდაში.

თავისუფალი დემოკრატები ვპირდებით ყველა პედაგოგს, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, ვიბრძოლებთ პედაგოგთა უფლებების დაცვისთვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ შევძლებთ, მათ განთავისუფლებას ყოველგვარი წნეხისგან.

# ხანძარი შემოქმედში

ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე უყურადღებობით, დაუდევრობით თუ შეგნებულად, ჰექტრობით ტყე-ბუჩქნარი ნადგურდება. გასულ ოთხშაბათს მორიგი ხანძარი იყო შემოქმედში, გონებისკარში, ჩუნიას მთის ფერდობზე დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი გაუჩინეს ჩაის ფართობს, რომელიც, შემდეგ ტყე-ბუჩქნარსაც მოედო. დაიწვა ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი. ოზურგეთის სამაშველო და სახანძრო სამსახურებმა ყველაფერი იღონეს ხანძრის ლოკალიზაციისათვის. დაზარალდა რამდენიმე ფერმერი, რომლებსაც თხილის ფართობები აქვთ ამ მიდამოებში გაშენებული.

# შეხვედრა ნაგომრის მოსახლეობასთან

ნინო ნიკოლაიშვილი

***სოფლის ცენტრში მდგარი უძველესი ჭადარი, აქაურთა მეისტორიე, „წარსულის დიდების ნაშთად რჩენილი“ კულტურის ნასახლარი, ამჟამად ნაგვის კერად ქცეული და მხოლოდ საარჩევნოდ გამოსაყენებელი, რასაც სპეციალურ დაფაზე გამოკრული, ნახევრად ჩამოხეული საარჩევნო სიები მოწმობენ; ვიზუალურად ლამაზი, მაგრამ უწყლო ჭა, გარედან მოყვრის, შიგნიდან მტრისად გულის გასახარი, — ეს ყველაფერი აქ ახლოს, სოფელში თუ გაივლით, პრობლემები მერე იკითხეთო... და საერთოდ დავიწყებულნი ვართ ნაგომრიელები ყველასგანო — ასე საუბრობენ, უფრო სწორად კი საყვედურობენ ამ სოფლის მკვიდრნი.***



სოფელ ნაგომარს ასულ „თავისუფალი დემოკრატების“ გურიის რეგიონისა და ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს საკრებულოს დეპუტატ თემურ სალუქვაძეს და პარტიის აქტივს მოსახლეობა ზემოთხსენებული ჭადრის ძირას დახვდა შეკრებილი.

თემურ სალუქვაძე მათ ზოგად პოლიტიკურ პროცესებსა და თავიანთი პარტიის კონკრეტულ მიზნებზე ესაუბრა. აღნიშნა, რომ განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობას, ინფორმაციის დამახინჯების, ან არ მიწოდების გამო, ხელისუფლება ვიზუალურ სამყაროში აცხოვრებს და ეს ხორციელდება ცენტრალური ტელეარხების მეშვეობით. „სინამდვილეში ქვეყანაში ყველაფერი პირიქით ხდება. ჩვენ მხოლოდ იმდენ დახმარებას გვთავაზობენ, არჩევნებამდე რომ მივიტანოთ სული, რათა ჩვენი ხმა ადვილად იყიდონ ხუთლარიანი სასაუბრო ბარათების, ან თუნდაც მეტი თანხის საფასურად. არანაირ ფასად არ შეიძლება გავყიდოთ ის, რაც ღმერთმა გვიბოძა. სწორი, თავისუფალი არჩევანი — ეს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა ჩვენი ქვეყნის წინაშე.“

შემდეგ გამომსვლელმა სოფლის მეურნეობის პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ არასწორმა პოლიტიკამ და ბიუჯეტის არამიზნობრივმა გამკარგვამ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ყველა სოფელი და მათ შორის ნაგომარიც. „როგორც ყველგან, აქაც არამიზნობრივად დაიხარჯა სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული თანხა. ფული დაიხარჯა - ბაღისთვის და ბაღი არ ფუნქციონირებს; წყლისთვის და წყალი არ არის; თუ ყველანი გავჩერდით, არაფერი გამოგვივა. ყველამ უნდა ვიფიქროთ, რა არის მნიშვნელოვანი ამ სოფლისთვის. თქვენთან მოვედი, რათა საკრებულოში მხარი დავუჭირო იმ პრობლემების გადასაჭრელი პროექტების განხორციელებას, რაც პირველ რიგში უნდა განხორციელდეს აქ.“ შემდეგ მოსახლეობისგან გამოთქმულ წინადადებებს მოუსმინა და შესაბამისი კომენტარები გააკეთა.

პრობლემების ჩამონათვალი ამ სოფელში ბევრია, რაზედაც აქაურები საუბრობენ: უმძიმეს მდგომარეობაში არსებული შიდა გზები; მოუწესრიგებელი განათების სისტემა --ყოველი ქარის მობერვაზე ჩამქრალი შუქი; სოფლის გაზიფიკაციისა და წყლით მომარაგების საკითხი; გასაწმენდი არხი, რომელიც აზარალებს სოფლის საყანე ფართობებს; ავარიულ მდგომარეობაში არსებული ხიდი მდ. ყურეფაზე...

სოფელში აფთიაქიც სჭირდებათ, ბაღიც, სურვილი გამოითქვა სოფლისთვის გამოყოფილი თანხის ნაწილი გამოიყენონ ერთ-ერთი მოზარდის დასახმარებლად, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება.

მოსასწრებია საყანე ფართობების დამუშავება, რადგან გვიანდება თესვა. ამ პრობლემაზე ელდარ კალანდაძემ ისაუბრა და აღნიშნა, რომ იქნებ შესაძლებლობა მიეცეს მოსახლეობას თანხა სამუშაოს შესრულების შემდგომ გადაიხადოს ტექნიკისთვის.

თემურ სალუქვაძე: „მე, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს დაუმუშავებელი მიწა. ჩვენ თუ არ გვაქვს ნავთობი, გვაქვს საუკეთესო ნიადაგი და კლიმატური პირობები, რისი სწორი გამოყენებაც აუცილებლად მოაგვარებს ჩვენს პრობლემებს.“

—კარგია ეს ყველაფერი და ამას თქვენ გამარჯვების შემთხვევაში გააკეთებთ, მაგრამ არჩევნებამდე სულს მივიტანთ? ამ რეპლიკის ავტორმა გრიშა კვასტიანმა არჩევნების პრობლემებზეც ისაუბრა - არჩევნებზე აქეთ პოლიცია დაგვადგება თავს, იქეთ ქურდული სამყარო, ზოგსაც ლუდს სთავაზობენ ხმის სანაცვლოდ. ამბობენ, მაინც არაფერი გამოვა და ამ ლუდს მაინც დავლევო.

ჯუმბერ დევიძე: — რომ გვეუბნებით თავისუფალი არჩევანი გააკეთეთო, მაგ დრომდე მიღწევა უნდა. სოფელი უამრავი პრობლემის წინაშე დგას. ხელისუფლება ხალხზე არ ზრუნავს. დანაპირები ასი დოლარის ნაცვლად ას ლარს გვთავაზობენ და იმასაც სექტემბერში.

— ოპოზიციას ნუ მოვთხოვთ იმას, რისი გაკეთებაც ამჟამად ხელისუფლების ვალდებულებაა - მიმართა თანასოფლელებს იური წიქარიძემ და სოფლის პრობლემების გადაჭრისათვის ერთად დგომისა და მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა. — ჩვენ თავად უნდა გვქონდეს შესაძლებლობა ჩვენთვის გამოყოფილი თანხა სოფლის საჭიროებისათვის დავხარჯოთ. — აღნიშნა მან.

# საქონლის ქურდობები გახშირდა

გასულ კვირას ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში ძროხის ქურდობის ორი ფაქტი დაფიქსირდა. თაყაიშვილის შესახვევში კერძო პირს მოზვერი ღამით საძროხიდან გამოუყვანეს, დეკეული საბალახოზე გაშვებული დაიკარგა. მანამდე 2 სული საქონელი დაკარგა ექადიაზე, ბასრის უბანში მცხოვრებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან ხშირად ჩამოდიან დისტრიბუტორები ოზურგეთში საქონლის შესასყიდად. ახერხებენ თუ არა საქონლის ქურდები მათთან ნაპარევის რეალიზაციას, ამით ალბათ სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ.




# ა.ი.პ „საქართველოს მომავალი"

# Future of Georgia

## „დღეს ყველა ერთად საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის"

### სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებისა და დანერგვის ხელმძღვანელი ჯ. ჭეიშვილი



ჩვენი ორგანიზაციის მიზნები არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ბიზნესის მხარდაჭერა. საქართველოს მთავარი ხერხემალი სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე გადის, ეს უნდა გაითავისოს თითოეულმა ქართველმა და თავიანთი წვლილი შეიტანოს ამ კეთილ საქმეში.

### „ჩემი პაწარა გურია პაწარა სამოთხეა პაწარა საქართველოში"

### ა.ი.პ „საქართველოს მომავლის" დირექტორი ნ. აბაშმაძე




ორგანიზაციის მიზნები არის ის საკითხები, რაც დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, ესენია: სოფლის მეურნეობა, ბიზნესის მხარდაჭერა, და ა.შ. ჩვენი მიზანია რეალური გზების მეშვეობით პრობლემების გადაჭრა, სოფელში ფერმერებს დავეხმარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაგეგმვა-შექმნაში, შემდგომ ბრენდირებაში და ხელს შევუწყობთ მის რეალიზებაში,

მცირე ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანია ხალხის დასაქმებისათვის, ამიტომ ორგანიზაციის პროგრამა ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სპეციალურ საწევრო პაკეტებს, რომელშიც შედის უფასო ბუღალტრული მომსახურება, ანგარიშგება, წესდების შედგენა, ბიზნესის დაგეგმვა და ა.შ.

ვახდენთ საინვესტიციო გარემოს კვლევას, პროგრამის ფარგლებში მომზადდა სამი საინვესტიციო პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია გურიის მოსახლეობის ინტერესები და შევეცდებით უმუშევრობის პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას. საკუთარი ძალისხმევითა და ხელისუფლების მხარდაჭერით. მთავარია აქტიურობა ხალხისა, ამიტომ მოგმართავთ ერთობისაკენ რადგან, რამდენიმე ქართველის გამარჯვებით საქართველოს ბედნიერება ვერ მიიღწევა.

### სოფლის მეურნეობის წარმოებისა და დანერგვის სპეციალისტი გ.სიამაშვილი




აიპ „საქართველოს მომავლის" სახელით სულითა და გულით მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

კაცობრიობა 21-ე საუკუნეში გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ეს გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისების გამო, ვინაიდან იზრდება უარყოფითი ცვლილებები გარემოში და იგი გასცდა დასაშვები პლასტიკურობის საზღვრებს. ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, აღდგენა და დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, სახელმწიფოებრივი ზრუნვის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, რაც ეკოლოგიურ მიწათმოქმედებას, მცენარეული ორგანიზებისა და გარემოფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების ოპტიმალურ გადაწყვეტას გულისხმობს. აგრომრეწველობის კომპლექსში დასაქმებულმა ყველა მუშაკმა უნდა გაითავისოს ეკოლოგიის საკითხები, ვინაიდან ის უშუალოდ არის კავშირში სოფლის მეურნეობასთან და ჯანსაღ პროდუქტთან.

### ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი რ. ცხომელიძე




დღევანდელი საქართველოს საგადასახადო კოდექსი რთულად შედგენილი კანონმდებლობაა, რომლის თითოეული მუხლის შესრულება, დამწყები ბიზნესმენიდან მოითხოვს როგორც განათლების მაღალ დონეს, ასევე კანონმდებლობის დაკავშირებას საბუღალტრო აღრიცხვასთან, საკითხების ცოდნასაც, რაც დამწყები ბიზნესმენისადმი გარკვეულ უნდობლობას ან მცირეოდენ შიშს ქმნის საქმის დაწყებისადმი. ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი ორგანიზაცია სთავაზობს დამწყებ ბიზნესმენებს, უფასო კონსულტაციას (მომსახურებას) ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ საგასადახადო კანონმდებლობის მოქმედების შერწყმას საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით. გავაცნობიერებთ მათ საბუღალტრო აღრიცხვის და საგადასახადო მოთხოვნათა ერთობლიობის შესწავლაში და საქმიანობის განხორციელებაში, ყოველწლიური და ყოველკვარტალური დეკლარაციების შედგენისა და საბუღალტრო ბალანსის შემადგენლობაში ჩართვის მეთოდით. დაინტერესებულ პირებს შევასწავლით ბუღალტრული ანალიზით და სინთეზური აღრიცხვის საქმიანობას და ბუღალტრული ბალანსის შედგენას. დეკლარაციების შედგენასა და გადაგზავნას ელექტრონული დეკლარირების მეთოდით.

### ს. ტოტოჩავა

ალალი გულით და კეთილი სურვილებით, ა.ი.პ. „საქართველოს მომავლის" სახელით, სრულიად საქართველოს მივულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

საქართველოს მომავალს დღეს ეყრება საფუძველი, დღეს მკვიდრდება რეალურ ცხოვრებაში და იმედი მაქვს ქვეყნისა და ხალხისათვის სასიკეთო მიზნების განხორციელებაში უამრავი მხარდამჭერი და თანამდგომი ეყოლება.

### საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნ. მუქერია



სრულიად საქართველოს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დღევანდელ საქართველოს ყველაზე მეტად ჯანსაღი ურთიერთობები და მშვიდობა ესაჭიროება, რაც მოითხოვს კონრეტული გეგმის შემუშავებას, უსაფრთხოების სტრატეგიის განსაზღვრას და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების ამოქმედებას. მშვიდობის მშენებლობისა და საქართველოს ბედნიერი მომავლის განსაზღვრის დროს, უმნიშვნელოვანესია ჩვენსა და საზოგადოებას შორის საერთო ენის გამონახვა და შეთანხმება სხვადასხვა საკითხზე, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის გულისტკივილის გაზიარება და საერთო მიზნისთვის ერთობლივი ბრძოლა.

### აგრონომი ს. ჯაყელი



გურიის რეგიონის ყველა ფერმერს, ყველა მეურნეს ვულოცავ აღდგომის დღესასწაუ-ლს, ეს წელიწადი თქვენთვის ყოფილიყოს ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი, გამოულევლად იქონიეთ ქართულ მიწაზე მოწეული ჯანსაღი, ხარისხიანი და გემრიელი პროდუქტი.

ჩვენ ყველამ ერთად, სიყვარულით უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა.

### ორგანიზაციის აუდიტი ი.ახალაძე

აუდიტორული შეფასება და დასკვნა კანონის შესაბამისად, ბიზნესმენისათვის თავისი საქმიანობის განსახორციელებლად მოითხოვს: შესაფასებელი მიწის, ქონების, ნივთის, საბუღალტრო აღრიცხვის, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების, გადასახადების გაანგარიშებისა და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის საქმიანობის ანალიზს, ბიზნესმენის საქმიანობის დაწყებისას ასეთი სახის კონსულტაცია მიუწვდომელია, რასაც ჩვენი ორგანიზაცია გთავაზობთ უფასოდ გაწევრიანების შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირები გაწევრიანდებიან ჩვენს ორგანიზაციაში, მომსახურეობა განხორციელდება ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა.

### ორგანიზაციის იურისტი ნ.ხომერიკი




არც თუ ისე დიდი ხანია , რაც ფუნქციონირებს ა.ი.პ. „საქართველოს მომავალი", რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია რეგიონში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. ორგანიზაციის ფუნქციონირების აუცილებლობა განაპირობა დღევანდელმა ქართულმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნამ.

დღეისათვის საქართველოში არსებობს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ზრუნავენ მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებისთვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის, ცდილობენ ხელი შეუწყონ საზოგადოების გამოყვანას სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური კრიზისიდან. ა.ი.პ. „საქართველოს მომავალი არ არის მოწოდებული რაიმე ორიგინალური ხერხები და მეთოდები შესთავაზოს მოქალაქეებს. ორგანიზაცია გეგმავს დაეხმაროს მოქალაქეებს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში. მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია პირველ ეტაპზე შემოიფარგლება მოკლე იურიდიული კონსტიტიციით, თუმცა სამომავლოდ გეგმავს ისეთ იურიდიულ მომსახურებას, რომელიც ორგანიზაციის მიზნებს განხორციელებადს გახდის.

# ა.ი.პ ,,საქართველოს მომავლის" წესდება

## საზოგადოების მიზნები და მათი განხორციელების გზები

2.1. საზოგადოების უმთავრესი მიზანია:

ა) სოფლების პრობლემების შესწავლა და გადაჭრა მოსახლეობასთან ურთიერთ-თანამშრომლობით.

ბ) სოციალურად დაუცველი ფენის, მათ შორის, ინვალიდებისა და ობოლი მოზარდებისთვის ხელშეწყობა , საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი შემდგომი ჩართვის მიზნით, ადამიანის ღირსებების, უფლებების და თავისუფლების გათვალისწინებით. ამ მიზნით სემინარებისა და პრაქტიკული სწავლების ჩატარება.(გენდერული ბალანსის დაცვით).

გ) სოფლად დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება-შენარჩუნების მიზნით, ტრენინგების ჩატარება და კადრების მომზადება.

დ) გარემოს დაცვითი აქციების და ტრენინგების ჩატარება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით გლობალური დათბობის პირობებში.

ე) ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით პროექტის შედგენა და ინვესტიციების მოზიდვა.

ვ) საკრედიტო- სადაზღვევო ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

2.2.საზოგადოება თავის საქმიანობაში იყენებს ყველა კანონიერ გზებსა და საშუალებებს, მას უფლება აქვს:

ა)დააარსოს საზოგადოების ფილიალები.

ბ)გააჩნდეს ბეჭდვითი ორგანოები, ეწეოდეს საგამომცემლო საქმინობას;

გ)მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებაში, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმინობა.

## საზოგადოების საქმიანობის ფორმები.

საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საზოგადოება:

ა)აწყობს შეხვედრებს, კონფერენციებს სემინარებს, დისკუსიებს და სხვა.

ბ)ზრუნავს თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებაზე.

გ) ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას.

დ) ავრცელებს სათანადო სახის ინფორმაციასა და ლიტერატურას.

ე)ქმნის რეგიონალურ ორგანიზაციებს, ფილიალებს წარმომადგენლობებს.

ვ)თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან. ეწევა მოსახლეობაში საინფორმაციო შემეცნებით საქმიანობას.

ზ)ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს.

თ)ეწევა სხვა საქმიანობას , რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

### გურიის რეგიონის ფერმერთა ასოციაციაში „საქართველოს მომავლი" გაწევრიანებულ ფერმერთა მომსახურების პაკეტთა ნუსხა.

მომსახურების პაკეტის ღირებულება 10 ლარი;

1. ფერმერთა ასოციაციის შექმნის წინაპირობა;
2. გურიის რეგიონში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდების გაცნობა;
3. კონსულტაციის გაწევა ადგილზე (ფერმერების მეურნეობაში), მრჩევლის რამდენჯერმე ჩასვლა სამეურნეო წლის განმავლობაში;
4. ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია. ( სას. სამ. გამოფენები) და რეალიზაციაში ხელშეწყობა;
5. კონსულტაციის გაწევა მარკეტინგის საკითხებში, საბაზრო ნიშნის მოძებნაში ხელშეწყობა
6. ასოციაცია ,,საქართველოს მომავლის" მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ღია კარის დღეებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;
7. გურიის რეგიონის აგროკლიმატური ზონის დახასიათება, ნიადაგური პირობები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადაადგილების მეცნიერული საფუძვლების განხილვა;
8. ინდივიდუალურ ფერმერთა და ფერმერული ასოციაციისთვის მიზნობრივი და მიკრო და მაკრო გრანტების მოძიება და განხორციელება;
9. გაზეთი ,,საქართველოს მომავალი".

# სემინარი სოფ. ბახვში







2011 წლის 30 მარტს სოფელ ბახვში, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მომავალმა", სოფლის მოსახლეობასთან გამართა სემინარი თემაზე „როგორ მოვახდინოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზება".

სემინარზე ხაზი გაესვა ამ თემის ირგვლივ არსებულ პრობლემებს,რომ არ ხდება პროდუქციის გასაღება და რომ ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით.

სემინარს ესწრებოდა სოფელ ბახვის გამგებელი ბატონი გ.შარაშენიძე და ადგილობრივი ფერმერები. მათ წარედგინათ მომსახურების პაკეტთა ნუსხა,რათა გაეცნონ თანამედროვე პრეპარატებსა და ტექნოლოგიებს,პრეპარატების არცოდნის გამო დღესდღეობით ქართული პროდუქცია არის დაბალხარისხიანი და ვიზუალურად ულამაზო,რის გამოც ხდება კონკურენტუუნარო.

# სემინარი სოფ. ნატანებში

2011 წლის 20 აპრილს ა.ი.პ „საქართველოს მომავალმა", ნატანების მოსახლეობასთან ჩაატარა სემინარი სოფლის მ,ეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრა დაიწყო ორგანიზაციის ზოგად მიზნებზე საუბრით,რასაც მოყვა სემინარი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ახალ პრეპარატ „ბიოსტიმულატორ ემ-ზე".

ორგანიზაციის აქტიურმა წევრმა და პროფესიონალმა აგრონომმა, ბატონმა ჯ.ჭეიშვილმა,დეტალურად ახსნა პრეპარატის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომ ამ პრეპარატის გამოყენებით თანდათანობით შესაძლებელი გახდება შხამქიმიკატების ხმარებიდან ამოღება,ნიადაგის მდგომარეობის გაუმჯობესება და ნატურალურად ჯანსაღი პროდუქტის მიღება.

ნატანების მოსახლეობა საკმაოდ დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა, თავიანთ საქმეში კომუნიკაბელურ პირებს ჩამოყალიბებული აქვთ კავშირი „ამხანაგობა", იკვლევენ სოფლად არსებულ პრობლემებს და ცდილობენ მათ გადაჭრას. დისკუსია გამომდინარეობდა მათი მხრიდან არსებული დიდი ინტერესიდან, თუ რომელ პრეპარატს უნდა მიანიჭონ უპირატესობა,მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საცდელ ნაკვეთზე „ბიოსტიმულატორ ემ-ის" გამოყენების შესახებ,ხოლო სემინარის დასასრულს გამოთქვა სურვილი ა.ი.პ „საქართველოს მომავალსა" და კავშირ „ამხანაგობას" შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

### მომსახურეობის პაკეტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის

1. ბუღალტრული აღრიცხვა, ყოველთვიური და წლიური დეკლარაციების შედგენა და ელექტრონული გადაგზავნა შესაბამის ორგანოში;
2. აუდიტი;
3. იურიდიული კონსულტაცია ყველა საკითხში;
4. სარეგისტრაციო წესდების მომზადება;
5. დახმარება მარკეტინგში;
6. ბიზნეს გეგმის შედგენა;
7. ყოველთვიური გაზეთი ,,საქართველოს მომავალი";
8. პარტნიორული კომპანიების ჩამოყალიბებაში წევრებს შორის ხელშეწყობა;
9. დასწრება ტრენინგ-სემინარებზე.

# გურია და გურულები



არსებობს ლეგენდა გურიის სახელწოდებასთან დაკავშირებით, თ.სახოკიას წიგნში ახსნილია, რომ „იყო ინდოეთში მეფე შედეთი,მოინდომა ედემი გაეშენებინა, მოწიწებით მოახსენეს: შიგ ანგელოზები არ არიანო. მეფემ ბრძანა: მოიარეთ მთელი ქვეყანა და სადაც ნახოთ „გურულები "(ლამაზები), მომგვარეთო. შეკრიბეს „გურები" და ინდოეთს გაემართნენ. კავკასიაში რომ მოვიდნენ, გაიგეს შედეთმა სული განუტევა. გადაწყვიტეს ამ ტურფა მხარეში დავრჩეთო,ასე დასახლდნენ საქართველოში, კერძოდ გურიაში „გურიები".

ხოლო მარი ბროსე წერს: „გურია შესაძლოა მომდინარეობდეს ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთი სახელწოდებისაგან „გუარე".

ი.მეგრელაძის შეხედულებით კი, გურ ძირის საფუძვლები მეგრულ-ჭანური წარმომავლობისაა.

საისტორიო წყაროებში კი გურია მოიხსენიება VIII საუკუნეში,როდესაც საქართველოში შემოიჭრა ულმობელი არაბი დამპყრობელი მურვან-იბნ-მუჰამედი იგივე „მურვან-ყრუ", ის გადამწყვეტი ბრძოლის წინ გურიას დაბანაკდა. იმის გამო რომ ის ხალხის თხოვნასა და ხვეწნა-მუდარას ყურს არ უგდებდა, მას „მურვან-ყრუ" შეარქვეს.

დღესაც გურიაში უყურადღებო ადამიანს მურვანას ეძახიან.

გურიელი იყო წარჩინებული ოჯახის გვარი და მათი დინასტია დიდი ხნის განმავლობაში მართავდა გურიას.

თავიდან გურიის ერისთავებად ვარდანიძეები ისხდნენ,XIII საუკუნიდან კი ისინი დამოუკიდებელი მთავრები გახდნენ და მიიღეს გვარი გურიელი.

გურიის უკანასკნელი მთავარი იყო მამია V გურიელი.

გურიელების ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთი.

1460 წელს, როცა ბაგრატიონთა დინასტია შესუსტდა, ვარდანიძე-გურიელების დინასტია დასავლეთის აჯანყებულ მთავრებს შეუერთდა, რომელთაც ბაგრატი ხელმძღვანელობდა,რომელსაც არ უნდოდა დამორჩილებოდა საქართველოს იმჟამინდელ მეფეს გიორგი VIII. მას შემდეგ რაც ბაგრატი იმერეთის მეფედ იკურთხა, დახმარების საპასუხოდ ახალ მონარქს უნდა შეექმნა სამთავროები მისი მთავარი მოკავშირეებისათვის, გურიელები გურიის ნახევრად-დამოუკიდებელი მთავრები გახდნენ.

1491 წელს გურიის დამოუკიდებელი მთავარი იყო გიორგი პირველი გურიელი. გურიის სამთავროში სამი ეპარქია შედიოდა: შემოქმედის,ჯუმათის და ხინოწმინდის.

მე-16 საუკუნის შუა წლებიდან როსტომ გურიელის დროს გურიამ იმერეთიდან დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ სერიოზულ პრობლემას წააწყდა სამხრეთელი მეზობელი ოსმალებიდან, ოსმალებმა მიიტაცეს აჭარის სამხრეთ პროვინციები.

მამია მეორე გურიელმა გამოიყენა მაშინდელი ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობა და აჭარიდან განდევნა ოსმალები,მაგრამ მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო,იგი იძულებული გახდა აჭარა დაეთმო და ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი ეკისრა.

მომდევნო წლებში დასავლეთ საქართველოში გაჩაღებულმა შინა ომებმა, შეასუსტა გურია, სხვა ქართველ გამგებლებთან ბრძოლის დროს გურიელები დახმარებისთვის ხშირად მიმართავდნენ ოსმალეთს, ასევე იქცეოდნენ დასავლეთ საქართველოს სხვა მეფე-მთავრები, რამაც საქართველოში ოსმალების ბატონობას შეუწყო ხელი.

მომდევნო ხანებში გურიის მთავრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: გიორგი III გურიელი და მამია III გურიელი ზოგჯერ სამეგრელოსა და იმერეთში გამეფებასაც ახერხებდნენ.

მე-18 საუკუნის დასაწყისში გურიის მთავარი დადიანთან და იმერეთის გამგებელთან ერთად რუსეთის დახმარების იმედით,ოსმალეთის წინააღმდეგ გამოვიდა, ამის საპასუხოდ ოსმალებმა დასავლეთ საქართველო მოარბიეს.

1810 წლის 19 ივნისს მამია V გურიელმა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება დადო. გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა როგორც ავტონომიური სამთავრო. ამის შემდეგ ოსმალთა შემოსევები შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა.

მამია V გურიელის დროს გურიის სამთავროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა, გაიხსნა სკოლა ქოზურგეთში, დაწესდა ყოველწლიური იარმარკა, მოწვეულ იქნენ ევროპელი მუსიკოსები და მსახიობები.

1819-1820წწ იმერეთისა და გურიის აჯანყების დროს რუსეთის სარდლობამ გურიაში ჯარი შეიყვანა და იმერელ აჯანყებულთა დამხმარე ქაიხოსრო ბატონიშვილის შეპყრობა სცადა. შემოქმედის ციხესთან მოკლეს რუსთა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი პუზირევსკი.

რუსეთის სარდლობის მოთხოვნით გურიის გამგებლობა დაევალა სასამართლოს საბჭოს, რომელსაც დედოფალი სოფიო თავმჯდომარეობდა.



სოფიომ სცადა ეს ვითარება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოეყენებინა, მაგრამ მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. დედოფალი სოფიო შვილებით ემიგრაციაში წავიდა. 1828-1840წწ გურიას განაგებდა დროებითი მართველობა,რომელშიც შედიოდნენ გურიის თავადები რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით. 1840 წელს გურიის დროებითი მართველობა გაუქმდა და გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

(გაგრძელება იქნება)

პასუხისმგებელი გამოცემაზე
ნათია მუქერია

# გურიაში პასქის ფესტივალი ჩატარდა

მარი კოძოევი



28 აპრილს, გურიის ისტორიაში პირველად, რეგიონის მთავარ ქალაქში პასქის ფესტივალი ჩატარდა. მაში მონაწილეობას სამივე მუნიციპალიტეტის 25 წარმომადგენელი იღებდა. თითოეულმა მონაწილემ თუ მონაწილეთა ჯგუფმა საკუთარი ფანტაზიით შექმნილი და ორიგინალურად მორთული სააღდგომო ნუგბარი და ყველა ის ნივთი გამოფინა, რომელიც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთანაა კავშირში.

ფესტივალი შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა სტუმრების დალოცვით და სააღდგომო პასქასთან დაკავშირებული ტრადიციების მნიშვნელობაზე საუბრით გახსნა. შემდეგ კი ზეიმი ქართული ჰანგებით გაგრძელდა. ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი საგალობლებს, ხოლო ანსამბლები ,,ვახტანგური‘‘ და ,,პირველი სხივი‘‘ ქართულ ტრადიციულ სიმღერებს ასრულებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. როგორც ორგანიზატორები აცხადებდნენ, გამოფენა-გაყიდვიდან თუ შემოწირულობებიდან შემოსული თანხა შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცემათ.

ფესტივალის დასკვნით ნაწილში შვიდკაციანმა ჟიურიმ (**მამა ბასილი, ესმა კუნჭულია, ლელა თავართქილაძე, ირინა კოპალეიშვილი, მამია კალანდარიშვილი, თამთა დუმბაძე, ავთანდილ გველებიანი**) სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დაასახელეს.

ნომინაციები ასე განაწილდა: ყველაზე დიდი პასქა—**ლანჩხუთის აგრობიზნესცენტრი;** ჟიურის სიმპათია—**ერკეთის დედათა მონასტერი;** ყველაზე ნორჩი მონაწილე—**წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა;** სპეციალური დიპლომი—**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი;** ფესტივალის აღმოჩენა-—**ნინო მენაბდე;** ტრადიციების საუკეთესო გაზიარება—**კირა სიროტინა;** ორიგინალური კომპოზიცია— **თინიკო მამალაძე;** ყველაზე პიკანტური გემო— **ქეთინო ლომაძე;** რელიგიურ თემაზე შესრულებული საუკეთესო კომპოზიცია— **ლანჩხუთის აგრობიზნესცენტრი;** საუკეთესო მცხობელი მამაკაცები- **ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი.**

**მამა ბასილი (კვირჩილაძე):** —დღეს ადამიანები მონატრებულნი არიან ერთმანეთთან შეხვედრას და ურთიერთობას. ამიტომაც დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფესტივალი გვასწავლის სააღდგომო პასქის სწორ გაკეთებას, რამეთუ ძალიან ლამაზია ათასი მოსართავებით გაფორმებული პასქა. მაგრამ სულ სხვაა, რამდენად სწორად ვაკეთებთ მას. კარგია, რომ ხალხი დღეს აქ სამივე მუნიციპალიტეტიდან შეიკრიბა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

**ალეკო მამეშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:**—დავათვალიერე ყველა მონაწილის მიერ წარმოდგენილი ექსპოზიცია. ძალიან გულიანად და გულმოდგინედ უმუშავიათ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ყველას კიდევ ერთხელ მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

**გია ტაკიძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი:**— ფესტივალის ჩატარება კარგი ინიციატივაა. მიხარია, რომ ასეთი სახალხო ზეიმი ეწყობა, მითუმეტეს, როცა ეს ბრწყინვალე შვიდეულში ხდება, რადგან პასქა დაკავშირებულია აღდგომასთან. ყველას ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარით!





**მარინა სუნგულია, მონაწილე):**— ძალიან კარგი იქნება, თუ ეს დღესასწაული მომავალ წლებშიც ჩატარდება, ტრადიციულ სახეს და ფართო მასშტაბებს მიიღებს. ასე, რომ გურიას კიდევ ერთი ლამაზი დღესასწაული შეემატა.

**ნინო მენაბდე (მონაწილე):**—წარმოვადგინე დეკორატიულად გაფორმებული ბატის, ციცრის და მწყერის კვერცხები. მათ მორთვაზე ორი კვირა ვმუშაობდი. რაც შეეხება ფესტივალს, მომწონს, რომ გურულებმა კიდევ ერთი ლამაზი დღე იზეიმეს.

ფესტივალი რადიო ,,გურიანას,‘‘ საორგანიზაციო ჯგუფის, სამივე მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და შემოქმედელი მიტროპოლიტის იოსების ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

გამოითქვა აზრი, რომ სასურველია მომავალში ფესტივალის ჟიურში მხატვარ-დიზაინერი და კვების დარგის ტექნოლოგიც შეიყვანონ.

# ,,სოკარი მოსახლეობისათვის ფულის გამოძალვას ცდილობს‘‘

მარი კოძოევი

**გურიის ,,თავისუფალი დემოკრატები ,,სოკარ ჯორჯია გაზიგურიას‘‘ მოუწოდებენ, შეწყვიტონ მომხმარებელთა უფლებების დარღვევა.**

აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის ოზურგეთის რაიონულ ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მათ რამდენიმე ათეულმა მომხმარებელმა მიმართა, რომლებიც ,,სოკარის‘‘ გადაწყვეტილებას მრიცხველების მასობრივად შეცვლის შესახებ აპროტესტებენ.

როგორც ცნობილია, აღნიშნული კომპანია თითოეული აბონენტის მრიცხველის შემოწმებას ქუთაისის ლაბორატორიაში აპირებს და უვარგისობის დადგენის შემთხვევაში მის გამოცვლას ითხოვს, რისთვისაც თითოეულ მომხმარებელს 160 ლარის გადახდა მოუწევს.

,,სოკარის‘‘ ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ქ. ოზურგეთის ჭავჭავაძის ქუჩის მცხოვრებლებს ოზურგეთის ,,თავისუფალი დემოკრატებისათვის‘‘ მიუმართავს. ამის შესახებ ,,თავისუფალი დემოკრატების‘‘ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ სალუქვაძემ გასულ კვირაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პრესკონფერენციას თავად ,,სოკარის‘‘ უკმაყოფილო აბონენტებიც ესწრებოდნენ. ,,ალიონი‘‘ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა. ანზორ დოლიძის, დარეჯან ბერსენაძის, ტერეზა სარქისიანის, დალი ბიწაძის დამოკიდებულება მრიცხველების შეცვლასთან დაკავშირებით იდენტურია .ოთხივე მათგანი ,,სოკარის‘‘ ინიციატივას უარყოფითად აფასებს.

—,,გვითხრეს, მრიცხველებს შევამოწმებთ ვარგისიანობის დასადგენადო. რა გარანტია გვაქვს, რომ მრიცხველზე, რომელიც გამართულად მუშაობს, არ გვეტყვიან უვარგისიაო. რა მოხდება ამ შემთხვევაში? იძულებული ვიქნებით 160 ლარი გადავიხადოთ. არადა, თავის დროზე ხომ გადავიხადეთ თანხა იმ მრიცხველისათვის, რომელზეც ახლა გვეუბნებიან, გამოსაცვლელიაო და რომელიც მათი რეკომენდაციით შევიძინეთ. ეს თანხის გამოძალვაა და მეტი არაფერი—გვითხრეს ,,სოკარის‘‘ აბონენტებმა.

თემურ სალუქვაძის თქმით, პრობლემაში გარკვევის მიზნით, ,,თავისუფალი დემოკრატები‘‘,,სოკარ ჯორჯიას‘‘ წარმომადგენ-



ლებს შეხდნენ. ასევე გაეცნენ მარეგულირებელ სამართალდამცავ აქტებს და მათზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ ,,გაზის მრიცხველების შეცვლისას არ ხდება მომხმარებელთა ინფორმირება კანონით დადგენილი წესით, რაც სამომავლოდ შესაძლებლობას იძლევა, მათ მიმართ განხორციელდეს უკანონო ქმედებები, დაჯარიმებების, გაზის საფასურის გადაანგარიშების ან დამატებითი გადასახადის დარიცხვის სახით.‘‘

პრესკონფერენციაზევე თემურ სალუქვაძემ განაცხადა, რომ ,,თავისუფალი დემოკრატები‘‘ მომხმარებლებთან ერთად იბრძოლებენ პრობლემის მოსაგვარებლად. თავად კი, როგორც საკრებულოს დეპუტატი, დასახელებულ საკითხს საკრებულოს სხდომაზე გაიტანს.

# ადა შეფერ-თაყაიშვილი



ადა შეფერი გახლდათ ერთ-ერთი ულამაზესი, უცხოელი მანდილოსანი, რომელიც წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოზურგეთში, მის სახელს უკავშირდება ოზურგეთში სამუსიკო სკოლის გახსნა და აღორძინება.

რამდენიმე წლის წინათ შესაძლებლობა მომეცა გავსაუბრებოდი ადა შეფერისა და მიხეილ თაყაიშვილის შვილობილს ნათელა თაყაიშვილს (მცხოვრები ქ. ბათუმში, ყოფილი ტელმანის ქუჩა), რომელმაც მიამბო: ადა (იადვიგა) ვარლამის ასული შეფერი ფრანგი ებრაელი იყო, დაიბადა პარიზში 1889 წელს. დედა პოლონელი ჰყავდა, მამა ვარლამ შეფერი ფრანგი იყო, რომელიც მუშაობდა ბანკის მოხელედ. ადა სწავლობდა ქალთა პანსიონატ ,,სოკრეიერში'', სადაც ასწავლიდნენ ენებსა და მუსიკას. შაბათ -კვირას კი მშობლებს მიჰყავდათ სახლში. 13 წლისა იყო ადა როცა დედა გარდაეცვალა, მამას შეურთავს მეორე ცოლი. ადას ვერ აუტანია დედინაცვალი და მალე გათხოვილა. გაჰყოლია მდიდარ მემამულეს წარმოშობით პოლონელს, რომელიც კარგი ბუნების კაცი ყოფილა, მაგრამ ერთი ცუდი ზნე ჰქონია, ყვარებია ბანქოს თამაში და დილამდე შეეძლო ეთამაშა, სწორედ ამ მიზეზის გამო ძალიან მალე გაშორებია ადა მის პირველ მეუღლეს.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ადა კიევში გამოჰყოლია მდიდარ ოჯახს გუვერანტკათ. სწორედ კიევში გაეცნო იგი მიხეილ ზევარის ძე თაყაიშვილს. მიხეილს ძალიან მოსწონებია პირმშვენიერი ადა, შეჰყვარებია და მალე 1917 წლის 27 აგვისტოს დაქორწინებულან კიდეც.



მიხეილ თაყაიშვილი წარმოსადეგი გარეგნობის, მომხიბვლელი პიროვნება გახლდათ. იგი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ოზურგეთში, შეძლებული აზნაურის ოჯახში, განათლება მიიღო პეტერბურგში საგზაო ინჟინრის სპეციალობით, ნამყოფი იყო სპარსეთში საგზაო-საინჟინრო საქმის შესასწავლად. მიხეილ თაყაიშვილი ექვთიმე თაყაიშვილის მკვიდრი ბიძაშვილი იყო.

გარკვეული დროით ადა და მიხეილი ცხოვრობდნენ კიევში, შემდეგ გადმოვიდნენ თბილისში და ცხოვრობდნენ პლეხანოვის პროსპექტზე, ადა ასწავლიდა ენებს და მუსიკას.

1936 წელს მიხეილი მეუღლესთან ერთად მშობლიურ ოზურგეთში გადმოვიდა საცხოვრებლად, როგორც კი ოზურგეთში ჩამოვიდნენ, მიხეილ თაყაიშვილის უშუალო თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა მუსიკალური სკოლის ჩამოყალიბებას.

1936 წლიდან ოზურგეთში არსებობს მუსიკალური სკოლა. ადრე მუსიკალური სკოლა განთავსებული ყოფილა აბაშიძის ქუჩაზე, სადაც ეკავა ორი საკლასო ოთახი. ომის წლებში უბინაობის გამო სკოლას მუშაობა არ შეუწყვეტია. მოსწავლეები დადიოდნენ ადას ბინაში, სადაც მას ედგა ბეკერის ფირმის როიალი და ამეცადინებდა ბავშვებს.

ადასა და მიხეილს საკუთარი შვილი არ ჰყოლიათ. ნათელა თაყაიშვილი გახლდათ მათი გაზრდილი, რომელმაც მითხრა, რომ მის ოჯახში, როგორც რელიქვია, დღესაც ინახება ადას ნაქონი როიალი, სარკე, წიგნები ავტოგრაფებით და ქარვის დიდი მძივი.

ქალბატონი ნათელა დიდი რუდუნებით უვლის და ელოლიავება მისი მშობლების ნაქონ ნივთებს.

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი

# არის თუ არა საქართველოში სიტყვის თავისუფლება

მარი კოძოევი



ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებული ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა დაინტერესებულ საზოგადოებას პოლიტიკური დებატები შესთავაზეს, რომლის თემა ქართული ჟურნალისტიკა იყო. არის თუ არა სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში? ასე ჟღერდა დებატის მთავარი კითხვა. მტკიცებითსა და უარყოფით გუნდებს შორის აღნიშნულ თემაზე საკმაოდ მწვავე დისკუსია გაიმართა. პირველი მათგანი დაბეჯითებით ამბობდა, რომ დღეს მედია საქართველოში არ არის თავისუფალი და ზეწოლას განიცდის ხელისუფლების მხრიდან. ეს მაშინ, როცა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობა სიტყვის თავისუფლების მაღალი ხარისხია.

—იმისათვის, რომ მედიის თავისუფლების დონე გაუმჯობესდეს, საჭიროა გვყავდეს მედია ომბუდსმენი, რომელიც მოახდენს დაკვირვებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მოხდება მასზე რეაგირება. ასევე აუცილებელია ამ დარღვევების შესახებ მიეწოდოს ინფორმაცია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს—ამბობდნენ მტკიცებითი ჯგუფის წევრები.

საპირისპიროზე საუბრობდნენ მოწინააღმდეგეთა გუნდში. მათი თქმით, მედია საქართველოში თავისუფალია და არ განიცდის არანაირ ზეწოლას ხელისუფლების არც ერთი ორგანოს მხრიდან.



დებატებს ოზურგეთში არსებული ყველა მედია საშუალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც საკუთარი აზრი დააფიქსირეს არა მარტო აღნიშნულ პოლიტიკურ დებატებზე, არამედ ზოგადად ქართულ მედიაში არსებულ მდგომარეობაზე.

დებატების დასრულების შემდეგ ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა ქართული ყაბალახისა და კოპების გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლეს, რომელიც საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. მათივე თქმით, გამოფენიდან შემოსული თანხა იმ სოციალურ პროგრამებს მოხმარდება, რომელსაც სკოლა ახორციელებს.

აღნიშნულ ღონისძიებას დაინტერესებული პირები მრავლად ესწრებოდნენ, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ.

# ხელოვნური დათესვით ჯიშთა ცვლა ანუ მეცხოველეობის განვითარება გურიაში



საბჭოურ პერიოდში მეცხოველეობა წამგებიან დარგად იყო მიჩნეული, ამიტომ მეცხოველეობის ფერმები ფუნქციონირებდნენ იმ სოფლებში, რომლებსაც უნარი შესწევდათ ჩაის მრეწველობიდან მიღებული შემოსავლით ერჩინათ მეცხოველიობის ფერმები.

პირველი თამამი გეგმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მეცხოვე-ლეობა დამოუკიდებელ მომგებიან დარგად გადაქცეულიყო შემუშავებულ იქნა გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ, როცა მიღებულ იქნა 1995 წლის 18 ნოემბრის №51-1 გადაწყვეტილება "ოზურგეთის რაიონში მეცხოველეობის ფერმერული (ოჯახური) მეურნეობის ფორმირების ბაზაზე მეცხოველეობის განვითარების შესახებ". პროგრამის მიხედვით ცალკეულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს უნდა შეესყიდათ ზღვისპირა ზოლში არსებული მეცხოველეობის ფერმები და იჯარით აეღოთ მიმდებარე ფართობები (წესით ერთი მსხვილფეხა საქონელი - ერთი ჰექტარი ფართობი). დასაწყის ეტაპზე ენთუზიაზმი დიდი იყო, მაგრამ შემდგომ პერიოდში პროგრამამ კრახი განიცადა, რადგან არ იქნა გათვალისწინებული მრავალი ფაქტორი, მათ შორის ისეთი როგორიცაა: საჭირო ჯიშების შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მომთაბარე მეურნეობის ბაგურ კვებაზე გადასვლას, საკვები პროდუქციის ადგილზე დამზადების აუცილებლობას, რაც თავისთავად მოითხოვს მანქანა-ტრაქტორთა მობილიზებასა და მის ფერმერულ მეურნეობაზე მიმაგრებსა, ახალი კულტურების ათვისებას ანუ სიდერატების ფართოდ დანერგვას და ადგილზე მეცხოველეობისათვის საკვები მასის დამზადებას; მეცხოველეობის პროდუქციის (რძის, ყველის, არაჟანისა და ხორცის პროდუქციის) მცირე გადამამუშავებელ საწარმოთა დაფუძნებას. რასაც საბოლაოდ გამსხვილებულ მეურნეობათა ჩამოყალებაბამდე მივყავართ.

დღეს ოზურგეთში მეცხოველეობა ეფუძნება ადგილობრივი ჯიშის საქონელს, რომელიც არც მერძეულობითა და არც ხორცის წარმოებით არ გამოირჩევა, ამიტომ პირველ რიგში დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი ჯიშების თანდათანობითი ცვლილების საკითხი და პიროვნება, რომელმაც ითავა ხელოვნური დათესვით ჯიშთა ცვლილების განხორციელება, გამოცდილი სპეციალისტია, კარგადაა ჩახედული იმ პრობლემებში რასაც მეცხოველეობის განვითარება ჰქვია. ვეტექიმი თამაზ კილაძე მრავალი წელია მოღვაწეობს მეცხოველეობის დარგში. იყო რაიონის მთავარი ეპიზო-ოტიოლოგი, მუშაობდა ძიმითის მებოცვრეობის მეურნეობაში მთავარ ვეტექიმად, სამხარეო ვეტლაბორატორიაში სწავლობდა და ირკვევდა სისხლს და სხვადასხვა პატ-მასალას სხვადასხვა მაჩვენებელზე, ხოლო ბოლო პერიოდში რაიონში საველე სადგურის ჩამოყალიბებისავე პერიოდში მუშაობდა წამყვან სპეციალისტად. ხელოვნური დათესვა და ჯიშთა ცვლილება სერიოზულ მუშაობასა და დიდ ნებისყოფას მოითხოვს, რადგან შრომის საბოლაო შედეგი რამდენიმე წლიან დაუღალავ მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. ის ჯიშები, რომელიც თ. კილაძის მიერ ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად შეირჩა, საშუალებას იძლევა ადგილობრივი ჯიშების თანდათანობითი ცვლილებით მივიღოთ რძისა და ხორცის მაღალმწარმოებელი საქონელი. ამ ეტაპზე შერჩეულია "ჯერსიული" და "შვიცური" ჯიშის ოა კულანტი (თესლი-სპერმა). მიღებული ნაყოფი ადვილად ეთვისება ადგილობრივ პირობებს, ამასთან ახასიათებს რიგი დადებითი თვისებები, კერძოდ: 1. „ჯერსიული ჯიში", რომლებიც ხასიათდებიან მაღალმწიფადობით: დაგრილებაზე დეკეულებს უშვებენ 12-14 თვის ასაკში, ე.ი. პირველად იგებს 21-23 თვის ასაკში; ამასთან, რძე გამოირჩევა ცხიმისა (5,5-5,8%) და ცილის (3,6-3,9%) მაღალი შემცველიბით. ნაყოფი იბადება 17-20 კგ. 2.„შვიცური ჯიში", ", რომლებიც ხასიათდებიან მაღალმწიფადობით: 1 დაგრილებაზე დეკეულებს უშვებენ 12-14 თვის ასაკში, ე.ი. პირველად იგებს 21-23 თვის ასაკში; ამასთან, რძე გამოირჩევა ცხიმისა (3,0-4,5%). საშუალო მონაწველი 4000-5000 კგ. ნაყოფი იბადება 30-35 კგ. ორი-სამი წლის მანძილზე შესაძლებელია მიღებულ იქნას კავკასიური წაბლა, ასევე მესამე თაობიდან შესაძლებელია ჩამოყალიბებულ იქნას სუფთა სისხლის მაღალმწარმოებლური ჯიშები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ადგილობრივი საქონლის ინვენტარიზაცია, რადგან ხელოვნური დათესვა თავისთავად აერთიანებს ისეთ პირობებს, როგორიცაა ფურის წონა 250-300 კგ და კარგი შეხორცება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური დათესვის პირობებში თუ ფური ჯანმრთელია, გამორიცხულია არაჯანსაღი ნაყოფის მიღება პროცესის სტერილიზაციიდან გამომდინარე თავდაპირველად მუშაობის დაწყების მიზანი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების იმ პროგრამის განხორციელება, რასაც გურიაში მეცხოველეობის განვითარება ჰქვია, მაგრამ სამწუხაროდ პროგრამაში აქტიურად არაა ჩართული ლანჩხუთი და ჩოხატაური იმ პირობებში, როცა აჭარის ბევრმა რაიონმა ისარგებლა არსებული ბაზის მომსახურებით. იმედია მოსახლეობა და ის მეწარმეები, რომლებიც ზღვისპირა ზოლში დაკავებული არიან მეცხოვველეობით, გადახედავენ საკუთარ გეგმებსა და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც იძლევა ადგილობრივი ჯიშის საქონელი და მიიღებენ გადაწყვეტილებას ჯიშთა თანდათანობითი ცვლილების შესახებ.

**გურამ ბერძენიშვილი**
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

# აკაკი მჟავანაძე



როგორი უსაშველო გახდა უშენოდ ცხოვრება!..

თვითონ მიკვირს, როგორ ვძლებ უშენოდ?..

შენ ხომ ჩემი სუნთქვა იყავი...რა კარგი იქნებოდა, საყვარელი ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ საუქაოს... უერთმანეთოდ ნახევარ ადამიანები ვართ.

დიდ ტკივილად იქეცი და მაინც ძვირფასი ხარ. ყოველი წამი შენი მოგონებებებითაა გაჯერებული. ცხოვრების გრძელი, რთული, მაგრამ ლამაზი გზა განვლეთ. ედნიერი და ამაყი ვარ შენი მეუღლეობით. მჯერა, შენც იგივეს იტყოდი ჩემზე. ჩვენ უთქმელად გვესმოდა ერთმანეთის. ღმერთის ვევედრები, ნათელში ამყოფოს მარადისობაში გადასული შენი ლამაზი სული. უსაშველოდ მენატრები და ვამაყობ, რომ ყველა ღირსეული კაცის სახელით გიხსენებს. შენ ამქვეყნად სიკეთისა და სიყვარულისთვისიყავი მოვლენილი, დიდთან-დიდი, პატარასთან -პატარა, სიმართლისთვის უშიშარი მებრძოლი...

მეგობრები, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ხშირად გიგონებენ, საფლავს ყვავილებით გიმკობენ. შენს დიდ სიყვარულს უფრთხილდებიან შენი საამაყო რძალი თამრიკო გიგიბერიძე და სიძე ნოდარ გაბედავა. რა თქმა უნდა, ყველას სჭირდები, აკლიხარ, მაგრამ ჩემს - ცალად დატოვებული მეუღლის ტკივილს რა შეედრება?! დღეებს ვითვლი სასულეთში შენთან შეხვედრამდე, მანამდე კი ისევ შენი სიყვარული მასულდგმულებს და მაძლიერებს...

**შენი ნაზი და ოჯახი**

# მეგობრის გახსენება



შარშან ოზურგეთს ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა— ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი აკაკი მჟავანაძე.

ბატონი აკაკი 1925 წელს სოფელ შრომაში დაიბადა.

როგორც თავის მოგონებებში წერს, აკაკის მშობლები მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, რამაც მასზედ მოახდინა გავლენა. მღეროდა იმ გუნდებში, რომლებსაც არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდგომ იგი რამდენიმე სიმღერის ავტორიც გახდა.

მამა ვასილ მჟავანაძე 1943 წელს ფრონტზე მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა და დედამ — თამარ ხუხუნაიშვილმა სამთავე შვილი ღირსეულად აღზარდა და მიაღებინა უმაღლესი განათლება.

ბატონმა აკაკიმ ომის მძიმე წლებში დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1943 წელს აჭარის სახალხო კომისრის ნადიმ ნიჟარაძის ბრძანებით იგი ხულოს რაიონის სოფ. დანისპარაულის შვიდწლიანი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს.

ბატონმა აკაკიმ აქ ორი წელი იმუშავა და ოჯახური მდომარეობის გამო მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. მუშაობდა ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგროტექნიკოსად, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციას. შემდეგ კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობდა.

ბატონი აკაკისათის ლამაზად მოსაგონარი იყო გაზეთ „ლენინის დროშაში" გატარებული 2 წელი. აქ იგი ლიტმუშაკად მუშაობდა.

1946 წელს იგი დაოჯახდა ნატანებელ ლიდა გუჯაბიძეზე. ამ ოჯახიდან ომში 5 ვაჟი იყო გაწვეული, საიდანაც მხოლოდ ერთი დაბრუნდა. ბატონი აკაკი ხშირად აღნიშნავდა, რომ მის წარმატებებში სწორედ მის მეუღლის ერთგულებას და ღვაწლს მიუძღვოდა დიდი წვლილი.

მომდევნო წლებში ბატონი აკაკი პარტიის რაიკომში ინსტრუქტორის თანამდებობაზე დააწინაურეს. შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ სკოლაში ჩარიცხეს. 1952 წელს ამ სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად მუშაობდა, შემდეგ კვლავ ოზურგეთის რაიკომში, ინსტრუქტორად, საერთო, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1955 წელს რაიკომის მდივნის თანამდებობაზე დააწინაურეს, 1961 წელს, მეორე მდივნის თანამდებობაზე.

1963 წელს დაამტკიცეს პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის ოზურგეთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ.

ბატონ აკაკის, როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს, ხშირად ანდობდნენ მნიშვნელოვანი მშენებლობების შტაბების ხელმძღვანელობას. იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა სახელმწიფო თეატრის, 500საწოლიანი საავადმყოფო კომპლექსის, სასტუმრო „გურიას," რამდენიმე ჩაის ფაბრიკის, საბრძოლო დიდების მუზეუმის მშენებლობების შტაბს.

1971 წელს მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1978 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ჯერ ოზურგეთის, შემდეგ სარაიონთაშორისო განყოფილებას. მან აქ 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი შეასრულა.

2002 წელს ბატონი აკაკი პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. შემდგომში ღირსების ორდენით დააჯილდოეს.

გარდა იმისა, რომ იგი იყო საუკეთესო ოჯახის მამა, მეუღლე, მეგობარი, უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ.

მან ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების გზა, რომელიც სამაგალითოა ჩვენთვის.

**მეგობრები.**

# გახსენება

## „მრავალნი არიან წოდებულნი, მცირედნი-რჩეულნი“

### „წუთისოფელი წარმავალია მარად სიცოცხლე არ გვიწერია...“



ჩემი ძმისშვილიაო, ობოლიაო, ცხოვრებამ ძალიან დაჩაგრაო, ახლა ბედნიერიაო,—ასე აცნობდი უცხოთ ჩემს თავს და თან ემოციებს ვერ უმკლავდებოდი. ამაყობდი—ოთარ ცეცხლაძის ქვრივის მანტია კარგად მოირგე და ღირსეულად ატარებო. გიხაროდა—სიკვდილს დაუძვერი და შენ თვითონ იპოვე შენი გადამრჩენი გზაო.

ბევრმა დაგიტირა ჩემ გამოც. მისამძიმრებდნენ და ჩამჩურჩულებდნენ: ღირსეული ბიძა დაკარგე, კედელი მოგეშალაო. მათ მხოლოდ ერთი რამ არ უწყიან—შენ ჩემი უკანასკნელი ჭირისუფალი იყავი. უსაშველოდ განიცდიდი ჩემს სატკივარს და გულით ხარობდი, როცა ბედნიერს მხედავდი. საოცარია!: ასეთი იყავი ყოველი ადამიანის მიმართ. ეს შენი ცხოვრების წესი იყო, ჩვენო დიდო ჭირისუფალო, ერთგულო მეუღლევ, თბილო და მოსიყვარულე მამავ, ჩინებულო ბაბუავ, განუმეორებელო სიმამრო, დიდო სანუკვარო მეგობარო, კარგო მეზობელო, გულისხმიერო ნათესავო, ღირსეულო მოქალაქევ, ლხინის მეფევ, ჩინებულო სუფრის თავკაცო..

ძნელი იყო შენთვის საქებარი სიტყვებით მომართვა. მას მხოლოდ მრგვალ თარიღებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე ვახერხებდით. მახსოვს, ერთხელ ოჯახის ახლობელმა, ლიკა ბაქანიძე, საუკეთესო წიგნი გისახსოვრა, ასევე—საუკეთსო ლექსით:

**„დაბადებულხართ ერთად— კაცი,**<br>
**სიტყვა და ღვინო,**<br>
**შენ იცი სხვებზე მეტად,**<br>
**სუფრის თავო და ლხინო,**<br>
**სუფრა—სტიქია შენი, რაც**<br>
**ბრძოლის ველად ითქმის,**<br>
**რას გაიგონებს ყური,**<br>
**უკეთესს შენი სიტყვის.**<br>
**სუფრა ველია, იცი, შენი**<br>
**გენის და ჯიშის,**<br>
**შეფარებულხართ ლექსებს**<br>
**მაღალ მუზების ჩრდილში,**<br>
**კარგი ოჯახის თავკაცს და**<br>
**მეგობრებით სავსეს,**<br>
**მართალი გულის პატრონს,**<br>
**სიკეთედ ყოფნა გავსებს.**<br>
**გშვენის მაღალი აზრიც, ხმა**<br>
**პირველიც და ბანიც,**<br>
**შენი სიტყვები ელავს, ხარ**<br>
**სულიც, გულიც, ლხინის,**<br>
**შენგან ისწავლა ბევრმა თვით**<br>
**სადღეგრძელოც ღვინის,**<br>
**ხდება შენი სიტყვა**<br>
**ოზურგეთისა და თბილისის.**“

მე კი ერთხელ ერთი პატარა ექსპრომტით მოგილოცე დაბადების დღე. ასე მითხარი: მაგი ერთ ადგილას გამოგადგებაო... შენეული მინიშნებით, ვგონებ, ეს სწორედ ის ადგილია, თორემ ასე ვერ გავკადნიერდებოდი

**„დაბადების დღეს გილოცავ,**<br>
**ბერმუხავ ჩვენი გვარისა,**<br>
**გამრავლდი, გაძლიერდი და**<br>
**ძალა გეწიოს ჯვარისა.**<br>
**შენა ხარ ბურჯი ოჯახის,**<br>
**ნათესავ-მეგობრებისა,**<br>
**სინდის-ნამუსით ქებულო,**<br>
**ვაჟკაცო ჩვენი ერისა.**<br>
**გარე გაკრია ლაშქარი**<br>
**ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან,**<br>
**შენ, აფრენილო არწივო,**<br>
**გომის პატარა კუთხიდან.“**

სიმღერის უსაშველოდ მოტრფიალე იყავი. გულით გიყვარდა ყოველი კაცი, რომელიც მღეროდა. ამ მხრივაც, გამორჩეული მეგობრები გყავდა, რომლებმაც გალობით გაგაცილეს იმქვეყნად...„ იქაც ჩამესმება თქვენი ხმებიო,“—ეტყოდი მათ. მაგრამ ბატონების—ჯემალ ჭკუასელის, ანზორ ერქომაიშვილის, ტრისტან სიხარულიძის, „ქართული ხმების.“ ქალივით ატირებას არც კი ელოდი, ალბათ. შენი სანუკვარი მეგობარი ზაურ ბოლქვაძე კი, შენ, ჯანმრთელობაშერყეულმა, თითქმის საწოლმიჯაჭვულმა, თბილისში ჩახვედი და დაიტირე—მირჩევნია, იქ მოკვდეო. ამადაც იტყვიან: „მრავალნი არიან წოდებულნი, მცირედი—რჩეულნი.“

სრულყოფილად კი 31 მარტს, შენი დასაფლავების დღეს, ითქვა სათქმელი. უამრავი ადამიანი გამოგემშვიდობა. მათ არა მარტო მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი, არამედ საოცრად ბევრი ცრემლი და სიყვარული გაგატანეს საგზლად... ასეთ კაცზე იტყვიან, დააკლდა ქალაქსო.

და არა მარტო:

ბედნიერია კაცი, რომელიც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ერთხელაც არ მომკვდარა, საბოლოოდ კი გარდაიცვალა მხოლოდ.

„ასეა სოფლის ამბავი. სულ მოდიან და მიდიან...“ შენებურად რომ ვთქვათ:—„წუთისოფელი ბინდისფერია, მარად სიცოცხლე არ გვიწერია...“ ამ ლექსით გვეხმიანებოდი სიცოცხლის მიწურულს და თანდათან გვაჩვევდი უშენობას. იცოდი, გაგვიჭირდებოდა..

ტკივილმორეულმა ვერც კი მოვახერხე შენთვის შესაფერის სიტყვიერ სამოსელში მომექცია ჩემი გულისთქმა, თუმც, არც მიფიქრია ვინმესთვის გამეცნო, ვინ იყავი, ან საიდან მოდიოდი. ეს კარგად უწყიან.

წლებმა თავისი გაიტანეს. აღმართი ამატარეს, დაღმართისაკენ გზას პირი გამოუჩნდა. როგორ მინდა, მეც შენნაირად წავიდე ამ ქვეყნიდან. მაგრამ მაშინ მეც გურამ ბურჭულაძე უნდა ვიყო.

ბუნება კანონზომიერია. ისევ მრავალგზის მოვა გაზაფხული. იხარებს ნერგი კეთილი. აყვავდება, გაიფურჩქნება, იმსხმოიარებს, დაიტოტება

და ერთმანეთს ეტყვიან,—ნერგი კეთილი გურამ ბურჭულაძის სიმბოლოაო.

„დაგინთებთ სანთლებს სასახლესა ზედა, რომ მარად ნათობდეს შენი სიკარგკაცე აწ და მარადის.“

დიდი ტკივილით—<br>
**ელიკო ბურჭულაძე.**

## გურამ ბურჭულაძის ნათელ ხსოვნას



მწუხარებასთან შეგუების ორმოცი დღე გახდა ჩვენო გურამ. ორმოცი დღე—ცათა სასუფეველში შენი მარადიული სიცოცხლისა.

დღეები ფოლიანტებივით იკინძება და გაზაფხულიც მოვიდა უშენოდ, ტკივილიანი გაზაფხული. ცის კაბადონზე ამოსული მზე ბლუჯა-ბლუჯა გვაყრის სხივებს, შენთვის კი ზამთარი დამდგარა, ძალიან ცივი ზამთარი. შენს მეგობრებს იმ გაუსაძლისი ტკივილის ზიდვა გვიწევს, შენი ამ ქვეყნად არყოფნა, არდაბრუნება რომ ჰქვია.

ახლა ჩვენს შორის სევდიანი სიშორეა და დარდის წკარუნში ვიხსენებთ იმ დროს, მზეები რომ გედგა თვალებში და ირგვლივ სიკეთეს თესავდი, სიყვარულს თესავდი. სიკვდილზე ძლიერი ყოფილა ის ძმური სიყვარული, ჩვენ რომ გვაკავშირებდა. ნატვრას დავადევნებ იმ უჩინარ ხმებს, ზეცისაკენ რომ მიიჩქარიან...გვიჭირს უშენობა, ძალიან გვაკლიხარ, უნაპირო სევდაა უშენობით დამდგარი.

სიკვდილი რომ არა, გურამ ბურჭულაძეს კვლავაც სხვის ტკივილზე ატკივდებოდა გული, კვლავაც სხვისი მწუხარებით დამწუხრდებოდა.

ალბათ, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ მეგობარი, რომელიც ჭირსა და ლხინში მუდამ გვერდით გვედგა, დღეს შენთან აღარაა, რომ იგი მარადისობასთან წილნაყარ სიმაღლეზეა და მის სახელს მონატრება ჰქვია... მონატრება ხელშეუხები, დაუსაბამო...

ცხოვრება სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი ყოფილა, თურმე. გურამ ბურჭულაძემ სიკეთე გაიხადა ცხოვრების მეგზურად და ამიტომ სიკვდილის შემდეგაც დიდხანს შემორჩება ჩვენს გულებს სადარდიანოდ, რომლის გახსენება გაუსაძლის ტკივილთან იქნება დაკავშირებული.

ეს სალექსო სტრიქონებიც მისი არდავიწყებისა იყოს:

**მოყვასის სიყვარულით, ცეცხლად ჩამოიღვენთე**<br>
**ჩაუმქრალო, სიკვდილამდე სულ სიკეთის მზედ ენთე.**<br>
**ვისაც ნატრობს სამეგობრო, ცეცხლად აღარ ინთება,**<br>
**ჩვენთან მოდის ჯავრად, სევდად, მოდის თოვლის ფიფქებად,**<br>
**სულ გიგონებთ, სულ გვახსოვხარ, ჩვენო გურამ, ძმაო ჩვენო,**<br>
**რა იქნება ბიჭო ერთხელ, სიზმარშიაც მოგვეჩვენო.**<br>
**ორმოცზე დავიჩოქებთ შენს საფლავთან,**<br>
**დიდ ტკივილების ნაზიარები,**<br>
**მაგრამ შელავათს ვერაფერი ვერ მოგვცემს**<br>
**და უფრო გამძაფრდება იარები.**<br>
**არ ქნა სიკვდილო, არ დაგვლუპო,**<br>
**აღარ დაგვავიწყო მეგობარი,**<br>
**სანამ გურამი ჩვენს გულში იქნება,**<br>
**მკვდარი ქვეყნისათვის აღარ არი.**

შენი მეგობრების და საძმოს სახელით,<br>
**მურმან დუნდუა.**

## ვახტანგ ბაღიშვილი



5 მაისი შენი გარდაცვალების დღეა. რა დრო გასულა. 10 წელია ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვაკლიხარ, განსაკუთრებით შენს ოჯახს. აღარ გვესმის შენი ომახიანი ხმა. მართალია შენ აღარ ხარ, მაგრამ შენს ოჯახში ცხოვრება გრძელდება —შეგეძინა შვილთაშვილები, სიძე, რძალი. დასანანია ის, რომ შენ ვერ გაგიცნეს.

მე და ჩემი შვილის მაიას მიმართ ძალიან კეთილად იყავი განწყობილი, გიყვარდით. ჩვენც დიდი სიყვარული გვქონდა თქვენს მიმართ.

ერთი მხრივ ამქვეყნიდან ადრე რომ წადი, იმითაც ბედნიერი ხართ, რომ არ მოესწარი შენი შვილიშვილის —ჭაბუკა არობელიძის და მის ძმისშვილის გელა ბაღიშვილის ტრაგიკულად დაღუპვას. ჩვენ კი დაგვიტოვა მოურჩენელი გულის ტკივილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი მზახალი **ჩითან თალაკვაძის ოჯახი**

## მენატრები გური



ძმაო, სულის და სხეულის აუტანელი ტკივილი დამმართე. მე ხომ შენზე დიდი ვარ, პირველად მე მეკუთვნოდა ამქვეყნიდან წასვლა, შენ კი ჭირისუფლის ვალის მოხდა. ვაი, რა ულმობელია სიკვდილი. ღმერთმა სულის ასეთ ტკივილთან ერთად სხეულის დიდი ტკივილი შემაგება, მე შენ ვერ დაგიტირე ძმაო. სატირლად არ მემეტები ნამდვილად ჩემო ხალისიანო, თბილო, იმედიანო გური! მჯერა და შენთან მოსულმა ადამიანების ცრემლებმაც დაადასტურეს, ვერ იპოვით გურიაში ერთ ქართველსაც კი, ვინც არ ნანობდეს შენს ასე უცებ ამქვეყნიდან წასვლას. სიყვარულს და სითბოს გრძნობდი ყველგან, კეთილი იყავ და მეგობრობა იცოდი. დიდხანს ემახსოვრება შენს მეგობრებს შენი სხარტი იუმორი და სუფრის თამადობა. ესეც ხომ რჩეულთა ხვედრია ძმაო. ჩემგან გეტყვი, ძნელია დაკარგო დედმამიშვილი და თანაც ერთადერთი ძმა, საყვარელი და მოსაფერებელი. მთელს სანათესაოს და შენს ტკბილ ოჯახში უკვდავებას შესაკუთრებული გური ბურჭულაძე დარჩები. ნათელში იყავი ძვირფასო ძმაო. შენს ტრადიციებს გააგრძელებენ: ძვირფასი და ერთგული მეუღლე ციალა; შვილები თამარი და ირმა, შვილიშვილები: შენი მოსახელე გურამი, ანი, თამარი, ნინო; სიძეები ალექსანდრე და ზაზა —გაიზრდებიან, გამრავლდებიან, გაიხარებენ და სიცოცხლე უსასრულოდ გაგრძელდება.

**ქეთო ბურჭულაძე.**

## მიხეილ ჩხარტიშვილი



სამი წელი გავიდა, რაც ოზურგეთს გამოაკლდა ღირსეული მოქალაქე, კოლორიტი ოზურგეთელი მიხეილ ჩხარტიშვილი.

22 აპრილს, მის დაბადების დღეს კვლავ შეიკრიბნენ მისი მეგობრები, მის საფლავს მიეახლნენ ჯვართამაღლების ეკლესიის ეზოში, შემდეგ დასხდნენ და შესანდობარი თქვეს.

ბატონი მიხეილის გარდაცვალებამდე 3 წლით ადრე მისმა მეგობარმა მურმან დუნდუამ ლექსი უძღვნა მას:

### მიშა ჩხარტიშვილს

**დაბადების დღეს გილოცავ მიშა,**<br>
**სიყვარულით გეფერება საძმო,**<br>
**მოხუცდაო, ადგეს, ერთი ერთი ვინ თქვა,**<br>
**უთვალავი წლები უნდა განვლო.**<br>
**კაცობისა ხელთ გიპყრია დროშა,**<br>
**ბევრი ყანწი სიყვარულით ცალე,**<br>
**ჩემმა გულმა შენ მრავალჯერ გლოცა,**<br>
**ილოცავს და გადღეგრძელებს ლალე.**

## ინდმეწარმე „შალვა ექიმაიშვილი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




ქ. ოზურგეთში, ახალი აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, („ვითიბი“ ბანკის გვერდით) გაიხსნა ახალი სამშენებლო მასალების მაღაზია.

გვეწვიეთ, ჩვენთან სამეურნეო და სამშენებლო საქონლის ფართო არჩევანია.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ. №4.

(რ)



## ინდმეწარმე „კახა კანდელაკი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გვეწვიეთ, ჩვენთან სამეურნეო და სამშენებლო საქონლის ფართო არჩევანია.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ.№4

(რ)



## შპს "აუდიტ ლ&ლ"

გადავიდა ახალ მისამართზე:

**ოზურგეთი, გურიის 37 (ყოფილი ბაზრის სასტუმროს III სართულზე)**

აქ ჩვენ გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

**ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მოწესრიგებას;**

**უფასო კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე;**

**ფირმების რეგისტრაციას;**

**აუდიტორულ შემოწმებას;**

**ქონების შეფასებას;**

**ბასს (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების) -სწავლებას;**

**კომპიუტერული პროგრამების სწავლებას;**

**საბუღალტრო პროგრამების (ორისი; ინფო; სუპერფინი) სწავლებას;**

დირექტორ-აუდიტორი:

**ლადო მანთიძე**



## სს საქართველოს ბანკი

### აცხადებს ვაკანსიას ოზურგეთში

**ადმინისტრატორის** თანამდებობაზე

**ძირითადი მოვალეობები:**

I შემოსულ ახალ მომხმარებლებთან პირველადი გასაუბრება, მისი მოთხოვნილებების დადგენა და/ან შესაბამისი გადამისამართება;

II საინკასაციო უსაფრთხოების, ასევე ინდივიდუალური სეიფების და სალომბარდო ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზება, უსაფრთხოების მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება;

III მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

**სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

I განათლება: უმაღლესი;

II სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება;

**აუცილებელი ცოდნა და უნარები:**

I მომხმარებლების მომსახურების უნარ–ჩვევები (თავაზიანობა, მომხმარბლების დახმარების მზაობის და ყურადღების გამოხატვა, სწორი გადამისამართება, შეცდომების გამოსწორება);

II ენების ცოდნა: ქართული - თავისუფლად; სასურველია რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;

III ეფექტური კომუნიკაციური უნარები: აზრის არგუმენტირებულად და ნათლად გამოხატვა;

IV ემოციური წონასწორობა, ლოგიკური აზროვნება, ორგანიზებულობა, კარგი მეხსიერება, მოსმენის უნარი, პრინციპულობა, სასიამოვნო გარეგნობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ რეზიუმე და ფოტოსურათი ან სს საქართველოს ბანკის სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის 18, საქართველოს ბანკის ოზურგეთის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: **regionjob@bog.ge** (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება).

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

**ოზურგეთი, გურიის 18, საქართველოს ბანკის ოზურგეთის სერვისცენტრი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 10 მაისი, 2011 წელი.** (ლ)


## სიყვარულის დღე ნარუჯის სკოლაში

ნინო ნიკოლაიშვილი




ნარუჯის საჯარო სკოლაში სიყვარულის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ადრე მისული სკოლის დირექტორის, ქ-ნ მედეა ობოლაძის კაბინეტში შევყოვნდი. კარებს შეაღებ და... ღიმილიანი სახით შემოგცქერის ბატონი გოჩა ყვავილებში ჩაფლული სურათიდან. მისი ყოველდღიური ურთიერთობაც ამ სკოლასთან მოსწავლეებთან თუ მასწავლებლებთან სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატულება იყო.

ახლა ქ-ნი მედეა უძღვება სკოლას. საუბრისას არაერთხელ გაისმა კარზე კაკუნი, პერიოდულად შემოდიოდნენ უფროსკლასელები დირექტორთან, რაღაცას ეკითხებოდნენ, რაღაცას უთანხმებდნენ. მერე დარბაზში გადავინაცვლეთ. სიყვარულის სიმბოლო, ყვავილები და... რაც მთავარია, ხალისიანი განწყობა სუფევდა ირგვლივ. ღონისძიება სკოლის მასწავლებელმა, თინა ასათიანმა მოამზადა, მონაწილენი XI კლასელები იყვნენ. ,,არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ შეხებია ეს ლამაზი გრძნობა“, ჰოდა ამ გრძნობას მიუძღვნეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ღონისძიება, რომელიც წარმოდგენილი იყო მუსიკალურ- მხატვრულ-თეატრალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიციებით. ცეკვა ქართული, ქართული სატრფიალო სიმღერები, ლექსები. ეპიზოდები ,,ვეფხისტყაოსნიდან“ შექსპირის, პროსპერ მერიმეს, ჰიუგოს, ერისთავის, ნაწარმოებებიდან. სიყვარულის დღე მიულოცა ქ-მა მედეამ ყველას. გოჩას საყვარელი სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა – სიყვარულით იწყებს ადამიანი ცხოვრებას და სიყვარულით ამთავრებს.

–კარგია, როცა ამ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში, მაგრამ კიდევ უკეთესია, როცა ისინი თავად იცნობენ დასახელებულ ავტორთა შემოქმედებას – აღნიშნა თინა მასწავლებელმა ღონისძიების ბოლოს.

## გიორგი მდინარაძის წარმატება



ქ. ბაქოში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ღირსებას ოზურგეთის სასპორტო სკოლის წარმომადგენელი გიორგი მდინარაძე იცავდა.

როგორც ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა, ქართული დელეგაციის წევრმა ბიძინა გობრონიძემ გვითხრა, გიორგიმ 84 კგ. წონით კატეგორიაში ღირსეულად ჩაატარა შეხვედრები, 4 შერკინება მოიგო და ფინალში გავიდა. ფინალურ ორთაბრძოლაში გიორგის აშკარად არაობიექტურად მოექცნენ მსაჯები და თურქ მოჭიდავეს გაამარჯვებინეს. გიორგი აზერბაიჯანის ფედერაციის თასს დაეუფლა.

ვულოცავთ გიორგის წარმატებას.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე